

მარიამ ზარქუა

გრიგოლ რობაქიძის სახელობის

უნივერსიტეტის დოქტორანტი,

ადვოკატი

DOI: <https://doi.org/10.52340/zssulaw.2023.01.06>

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება

აბსტრაქტი

გლობალიზაციის თანადროულად უცხოური სასამართლოს გადაწყვეტილებების ცნობა და აღსრულება წარმოადგენს როგორც შესაძლებლობას, ასევე გამოწვევას საერთაშორისო სამართლებრივი სისტემისთვის. სტატია მიზნად ისახავს გადაწყვეტილებების ტრანსსასაზღვრო აღსრულების ირგვლივ არსებული სამართლებრივი ჩარჩოებისა და პრაქტიკის შესწავლას, როგორც ეროვნული კანონმდებლობისა და პრაქტიკის მიმოხილვის საშუალებით, ასევე უცხოური ქვეყნების გამოცდილებითაც. სტატიაში დოქტრინალური ანალიზის მეშვეობით, წარმოდგენილია ის ძირითადი საკითხები, რომელთა გათვალისწინებაც არსებითად მნიშვნელოვანია უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების პროცესში. ამასთან, ხაზგასმულია ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს ცნობისა და აღსრულების მექანიზმებზე და ამ მექანიზმების ეფექტურობაზე. სტატიაში წარმოდგენილია სამართლებრივ სისტემებს შორის არსებული მნიშვნელოვანი განსხვავებები ცნობა-აღსრულების მიდგომებთან მიმართებით. საკითხი საინტერესოა იმ კუთხითაც, რომ აღნიშნული პირდაპირ კავშირშია საჯარო პოლიტიკასთან, რომელსაც თან სდევს არაერთი პროცესუალური სირთულე. ბუნებრივია, ტრანსსასაზღვრო სასამართლო პროცესების დროს ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელება არსებითად მნიშვნელოვანია, რათა კონკრეტულ საქმეში მონაწილე მხარეთა უფლებები იყოს დაცული. აღნიშნულთან მიმართებით თავსებადობის კუთხით კი ზემოთ ხსენებული ინსტიტუტი ეფექტური სამართლებრივი მექანიზმია, რაც საბოლოო ჯამში, ეფექტურად ეხმარება საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტების ჰარმონიზებას, რაც უწყვეტი და სწრაფად განვითარებადი საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთობებისთვის აუცილებელია.

საკითხი საინტერესოა იმ კუთხითაც, თუ როგორც შეიძლება განსხვავებული იურისდიქციის მქონე ქვეყნების სამართლებრივმა სისტემებმა ითანამშრომლონ ისე, რომ მათ სუვერენიტეტსა და საჯარო პოლიტიკაში არ მოხდეს უხეშო ჩარევა. ის ტრანსნაციონალური მიდგომები, რომელიც დღეს არსებობს საჭიროებს მუდმივ ცვლილებასა და განახლებას ვინაიდან, კულტურული, პოლიტიკური თუ სოციალური ფაქტორები მუდმივ გავლენას ახდენს ამ

პროცესზე. უთანასწორო მიდგომები კი ინდივიდთა უფლებებზე პირდაპირპროპორციულად მოახდენს უარყოფით გავლენას.

ამ სფეროს მარეგულირებელი საკანონმდებლო დებულებების, სასამართლო მიდგომებისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების შედარებითი ანალიზი ავლენს დღეს არსებულ მიდგომებში არსებულ გამოწვევებსა და შეუსაბამობებს. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ზოგადი ტენდენცია ამ პროცესის გამარტივებისკენ, არსებობს მნიშვნელოვანი სირთულეები ეროვნულ სამართლებრივ ტრადიციებში განსხვავებულობის, ორმხრივი მოთხოვნის, სუვერენიტეტისა და საჯარო პოლიტიკის გამო.

საძიებო სიტყვები: სასამართლო გადაწყვეტილება, ცნობა, აღიარება

შესავალი

ტრანსნაციონალური გლობალიზაციის შედეგად საერთაშორისო ვაჭრობა და კომერციული საქმიანობა სწრაფი ტემპით განვითარდა. აღნიშნულის პარალელურად, სხვადასხვა სახელმწიფოში იმატა სასამართლო დავების რიცხვმა, რომლის გადაწყვეტის სამართლებრივი მექანიზმები ისეთივე სწრაფი ტემპით ვერ ვითარდებოდა, როგორც ზემოთ ხსენებული პროცესი.¹ ცხადია, საერთაშორისო დავის გადაწყვეტისას დგება საკითხი გამოსაყენებელი სამართლისა და განსჯადი სასამართლოს შესახებ, ვინაიდან უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების პროცედურული სფერო განსხვავდება იურისდიქციის მიხედვით, რა დროსაც აუცილებელია საერთაშორისო სამართლის მნიშვნელობაზე ხაზგასმა ვინაიდან, სახელმწიფოთა შორის ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებები უზრუნველყოფენ ცნობისა და აღსრულების პროცესს. თანამედროვე საზოგადოების სირთულეებმა ჩამოაყალიბა ერებს შორის ურთიერთდამოკიდებულების ქსელი, შექმნა ე.წ. სამართლებრივი ლანდშაფტი, სადაც ეროვნული სამართლის სფერო სცილდება გეოგრაფიულ ფარგლებს და საჭიროებს ერთობლივ ძალისხმევას გლობალური მასშტაბით, რათა ამ დროს სახელმწიფოებმა შექმნან იმგვარი სამართლებრივი ბერკეტები, რომლითაც დაცულ იქნება მხარეთა უფლებები. ამასთან, მნიშვნელოვანია უცხოური გადაწყვეტილებების სამი შესაძლო ეფექტი გამოიყოს. პირველი, უცხოური გადაწყვეტილება წარმოადგენს ფაქტს მიუხედავად მისი აღიარებისა. მეორე, უცხოური გადაწყვეტილების აღიარება გამოიწვევს იგივე საკითხების ხელახლა განხილვას შიდა სამართალწარმოებაში. პრეკლუზიური ეფექტის მასშტაბი კი შეიძლება განისაზღვრებოდეს კონკრეტული სამართლის სისტემის მიხედვით.² უცხოური გადაწყვეტილების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ერთი ქვეყნის ან იურისდიქციის სასამართლო იღებს სხვა უცხო ქვეყნის ან იურისდიქციის სასამართლოების

¹ Model Law on the Recognition and Enforcement of Foreign Judgments, Commonwealth Secretariat, 2018, 1.

² Ralf Michaels, Max Planck Encyclopedia of Public International Law, Max Planck Institute for Comparative Public Law and International Law, Heidelberg and Oxford University Press, 2009, 1-2.

მიერ მიღებულ სასამართლო გადაწყვეტილებას და გამოაქვს გადაწყვეტილება არსებითად იდენტური პირობებით. აღნიშნული ძირითადად გულისხმობს დადგენილი ფუნდამენტური პრინციპების შეფასებას, რა დროსაც წარმოიშობა რიგი გამოწვევები, რაც გულისხმობს სამართლებრივ სისტემებს შორის განსხვავებებს, კულტურულ უთანასწორობასა და კანონებისა და პროცედურების განსხვავებულ ინტერპრეტაციებს. ამ დროს კი გამომწვევები მნიშვნელობა აქვს ჩართული მხარეების ინტერესების დაბალანსებას ორივე სამართლებრივი სისტემის მთლიანობის უზრუნველსაყოფის მიზნით.³

უცხო ქვეყნის გადაწყვეტილებების აღსასრულებლად გამოცხადება აპრიორი არ გულისხმობს იმას, რომ კონკრეტული სამართლის სისტემის მქონე ქვეყნისთვის მას დაუყოვნებლივ ენიჭება იურიდიული ძალა, რადგან შესაბამისი სასამართლო აქტის დაშვება საფუძვლიანად გადამოწმების გარეშე დაუშვებელია. სწორედ ამ ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით შეიქმნა ცნობის ინსტიტუტი. უცხოური სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობით ხდება უცხოური აქტის დაქვემდებარება კონკრეტული ქვეყნის სამართლის სისტემასთან.⁴ ბუნებრივია, სასამართლო აქტის მოქმედებას გარკვეული საზღვრები და ჩარჩოები აქვს, რადგან სახელმწიფომ მხოლოდ ისეთი სამართლებრივი შედეგები უნდა ცნოს, რომლებსაც იგი იცნობს.

1. უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების ცნება

კონკრეტული ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების მოქმედების სფერო განისაზღვრება მხოლოდ ამ ქვეყნის ტერიტორიაზე. შესაბამისად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილებამ მხოლოდ მაშინ შეიძლება იმოქმედოს სხვა ქვეყანაში, როდესაც მეორე ქვეყანა მას სცნობს, რა დროსაც ის არ უნდა შეიჭრას უცხო ქვეყნის სასამართლო კომპეტენციაში. აღნიშნული არ გულისხმობს იმას, რომ რომელიმე ქვეყანას პირდაპირი ვალდებულება აკისრია უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობისა. ცხადია, აღნიშნულთან მიმართებით განსხვავებული პოზიციებიც არსებობს. მაგალითად, გერმანელ მეცნიერთა გარკვეულ ნაწილს, კერძოდ, პროფესორ რ. გაიმერის აზრით, „კეთილი ნების“ პრინციპიდან გამომდინარე, მაინც აკისრიათ სახელმწიფოებს ეს პირდაპირი ცნობისა და შესაბამისად, აღსრულების ვალდებულება. აგრეთვე ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა გულისხმობს გადაწყვეტილების ცალკეული ნაწილების ცნობას და არა მის ცნობას სრულად. პროცესში მონაწილე მხარისთვის, ვის სასარგებლოდაც უნდა მოხდეს გადაწყვეტილების ცნობა, უნდა ეცადოს, რომ კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი მექანიზმების საშუალებით მიაღწიოს მეორე ქვეყნის სასამართლოსგან აღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულებას. აღნიშნულს კი იმ შემთხვევაში

³ Professor Fausto Pocar, EXPLANATORY REPORT, Convention on jurisdiction and the recognition and enforcement of judgments in civil and commercial matters, signed in Lugano on 30 October 2007, Official Journal of the European union, 2009, 1-3.

⁴ Haas, Ulrich, Die Anerkennung und Vollstreckung ausländischer und internationaler Schiedssprüche.: Dissertationsschrift (Schriften zum Prozessrecht), Schriften zum Prozessrecht, 1991, 128-129.

ექნება ადგილი, თუკი გადაწყვეტილების მცნობმა სასამართლომ ისეთი პროცესუალური მოქმედებები განახორციელა, რომელმაც გადაწყვეტილება ამ უკანასკნელის ტერიტორიაზე მიღებულად აქცია და თავისი ქვეყნის იძულებით აღსრულებას დაუქვემდებარა. ისტორიული კუთხით რომ შევხვით, შუა საუკუნეების უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებათა ცნობა მხოლოდ მაშინ ხდებოდა თუ ის დამტკიცებოდა, რასაც ითვალისწინებდა ე.წ „საქსონიის სარკე“.⁵ თუმცა მოგვიანებით სახელმწიფო სუვერენიტეტის იდეის გავლენით, ქვეყნებმა დაიწყეს უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობაზე უარის თქმა და კერძო-სამართლებრივ ურთიერთობებში აიკრძალა საერთაშორისო კეთილი ნების გამოყენება.

მე-20 საუკუნის ბოლოს უკვე დაიწყო უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებათა ცნობა, აღნიშნულზე მსჯელობის პროცესში გადამწყვეტი როლი ჰქონდა „ნაცვალგების პრინციპს“. ზოგადად, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის მიზანი სამოქალაქო ბრუნვისა და მართლმსაჯულების ორგანოს საქმიანობის გამარტივებას ემსახურება ვინაიდან, მოდავე მხარისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს წარდგენილი სარჩელით ამოწუროს ყველა სადავო გარემოება, რომლითაც იგი მოპასუხეს ედავება. ხშირია, როდესაც სასამართლო გადაწყვეტილება აღსრულებას რამდენიმე ქვეყანაში მოითხოვს. შესაბამისად, თუკი ცნობისა და აღსრულების პროცესში მონაწილე რომელიმე ქვეყანა უარს იტყვის აღსრულებაზე, მოდავე მხარე იძულებული გახდება სასარჩელო მოთხოვნებით მიმართოს ამ უკანასკნელი ქვეყნის სასამართლოს, რაც ცხადია, დამატებით რესურსებს, დროსა და ხარჯებს მოითხოვს. შესაბამისად, საერთაშორისო ურთიერთობებში ჩართული თითოეული ქვეყანა დაინტერესებულია ამ პროცესისთვის მაქსიმალურად მოქნილი და ხელსაყრელი პირობები შექმნას. ამიტომაც ხშირად ამგვარ დამოკიდებულებას მივყავართ უცხო ქვეყნისა და ნაციონალური სასამართლო გადაწყვეტილების გათანაბრებისკენ.⁶ როგორც უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობის შემთხვევაში, აღსრულების საკითხსაც თითოეული ქვეყანა დამოუკიდებლად წყვეტს.⁷ სახელმწიფოთა მიდგომები გადაწყვეტილების აღსრულებასთან მიმართებით შეიძლება დაიყოს ტრადიციულ და გამარტივებული აღსრულების პროცედურების მიხედვით, რომლის შერჩევაც განისაზღვრება სამართლებრივი სისტემის მიხედვით. ტრადიციულს ასევე უწოდებენ ე.წ „ეგზეკუტურის პროცედურასაც“, რაც გულისხმობს უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებაზე სპეციალური ეგზეკუტურის გაცემას. აღნიშნული ცნობილია ისეთ სახელმწიფოებში, როგორიცაა საფრანგეთი, გერმანია, შვეიცარია და ა.შ ქართული სამართლის სისტემა უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების კომპეტენციას მხოლოდ საქართველოს უზენაეს სასამართლოს ანიჭებს.⁸

⁵ Charles Platto, *Enforcement of Foreign Judgments Worldwide*, Published by Graham & Trotman, London, and the International Bar Association (1989, viii and 271pp. incl. Contents and Preface), 1-20.

⁶ ANERKENNUNG UND VOLLSTRECKUNG AUSLÄNDISCHER ENTSCHEIDUNGEN, Juracademy.de, ხელმისაწვდომია აქ: <https://shorturl.at/hjyIQ> (უკანასკნელად გადამოწმდა 2024 წლის 04 თებერვალს).

⁷ Peter Gottwald, *Internationales Zivilprozessrecht*, 1991, 285.

⁸ გაბისონია ზ., ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, გამომცემლობა იურისტების სამყარო, 2016, 453-468.

2. უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების რეგულირება საქართველოში

გადაწყვეტილების ცნობასთან მიმართებით, ზუსტ განმარტებას არ ვხვდებით. საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის 68-ე მუხლში კანონმდებელი განმარტავს, რომ საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის სასამართლო კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს. გადაწყვეტილების ცნობა კი არ ხდება იმ შემთხვევაში თუკი საქმე საქართველოს განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება, მისი გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად მხარე უწყების ჩაბარების გზით არ იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამოძახების თაობაზე ან სხვა საპროცესო დარღვევებს ჰქონდა ადგილი და სხვ.

გადაწყვეტილების აღიარების (ცნობის) საგანს არ წარმოადგენს მხოლოდ კონკრეტული სასამართლო გადაწყვეტილება, როგორც მართლმსაჯულების აქტი, არამედ მისი გარკვეული სამართლებრივი თვისების მოქმედების გავრცელება უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე.⁹ ამასთან მნიშვნელოვანია აღინიშნოს, საქართველოს კონსტიტუციის 33-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, საქართველოში მცხოვრებ სხვა სახელმწიფოს მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს საქართველოს მოქალაქის თანაბარი უფლებანი და მოვალეობანი აქვთ, გარდა კონსტიტუციითა და კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.¹⁰ თავის მხრივ, სსსკ-ს 11.4 მუხლის შესაბამისად, საქართველოს საერთო სასამართლოები განიხილავენ საქმეებს, რომლებიც საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან გამომდინარეობს ან რომლებშიც მონაწილეობენ უცხო ქვეყნის საწარმოები და ორგანიზაციები.¹¹ საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენციას განსაზღვრავს საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლიც, სადაც კანონმდებელი მიუთითებს, რომ საქართველოს სასამართლოებს აქვთ საერთაშორისო კომპეტენცია, თუ მოპასუხე იურიდიულ პირს საქართველოში აქვს ადგილსამყოფელი. ამავე კანონის მე-9 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს სასამართლოებს საერთაშორისო კომპეტენცია აქვთ იმ შემთხვევაშიც, თუ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების ადგილი საქართველოა. აღნიშნულთან მიმართებით, წინამდებარე კანონის მე-18 მუხლი განამტკიცებს სასამართლოს კომპეტენციაზე მხარეთა შეთანხმების შესაძლებლობას, რომლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ უცხო ქვეყნის სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენციაზე, თუ ერთ-ერთ მათგანს საცხოვრებელი ადგილი უცხო ქვეყანაში აქვს. ამ უკანასკნელის თანახმად, ასეთი შეთანხმება უნდა დაიდოს: ა) წერილობით ან სიტყვიერად, წერილობითი დადასტურებით; ბ) საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებისას - იმ ფორმით, რომელიც შეესაბამება საერთაშორისო სავაჭრო ჩვეულებებს და მხარეებისათვის ცნობილია ან ცნობილი უნდა ყოფილიყო. ზემოთ ხსენებული კანონის მე-

⁹ ლილუაშვილი ბ., სადისერტაციო ნაშრომი: უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებათა ცნობა და აღსრულება საქართველოში, ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2009, 56.

¹⁰ მუხლი 33, საქართველოს კონსტიტუცია, 24/08/1995, საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი.

¹¹ მუხლი 11, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 14/11/1997, საქართველოს პარლამენტი.

8 და მე-9 მუხლები ავითარებს საერთაშორისო სამოქალაქო საპროცესო სამართლის მიდგომას, რომელიც საერთაშორისო კომპეტენციის რამდენიმე სახეს იცნობს.¹² კერძოდ, ერთმანეთისაგან განასხვავებენ პირდაპირ და ირიბ, საერთაშორისო და ადგილობრივ, საერთო და განსაკუთრებულ, ფაკულტატურ და გამომრიცხავ საერთაშორისო კომპეტენციას. აღნიშნული აღიარებს ისეთ სახეებს, როგორიცაა საერთო და განსაკუთრებული საერთაშორისო კომპეტენცია. საერთო საერთაშორისო კომპეტენცია კი კონტინენტური სამართლის ევროპულ ქვეყნებში დაკავშირებულია მოპასუხის საცხოვრებელ ადგილთან/ადგილმდებარეობასთან (aqtor sequitur forum rei).¹³

საქართველოს უზენაესი სასამართლო უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებას ამოწმებს მხოლოდ მისი ცნობა/აღსრულებასთან დაკავშირებული სამართლებრივი წინაპირობების კუთხით. უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების სამართლებრივი ძალის სხვა ქვეყანაში გავრცელებისათვის უნდა არსებობდეს ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები. ფაქტობრივ საფუძვლებად გაგებულ უნდა იქნეს უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების შედეგების გავრცელება იმ ქვეყნის ტერიტორიაზე, რომელმაც უნდა სცნოს ეს გადაწყვეტილება, ხოლო სამართლებრივ საფუძველში იგულისხმება საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმები, რომლის საშუალებითაც ხორციელდება ცნობა/აღსრულების განხილვა. აქედან გამომდინარე, საქართველოს უზენაესი სასამართლო უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების აღიარებით ახდენს ამ გადაწყვეტილებით დაცული მხარის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების ცნობას, რომლის რეალიზაციის იურიდიული შედეგი უნდა გავრცელდეს საქართველოში. შესაბამისად, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის პრობლემის გადაწყვეტისას მნიშვნელოვანია, თუ რა კრიტერიუმების არსებობას უკავშირებს გადაწყვეტილების ცნობას შესაბამისი ქვეყნის სასამართლო. მსგავსი კრიტერიუმები შეიძლება სხვადასხვა იყოს. ამასთან, შეიძლება გადაწყვეტილების ცნობისას მოცემული ქვეყნის კანონმდებლობა ან მის მიერ გაფორმებული ორმხრივი საერთაშორისო შეთანხმება პირდაპირ ჩამოთვლიდეს კონკრეტულ პრინციპებს. გარდა ამისა, აღნიშნულთან დაკავშირებით საერთაშორისო სამოქალაქო პროცესში გავრცელება ჰპოვა ე.წ. “სარკისებური ასახვის პრინციპმა”, რომლის მიხედვითაც, გადაწყვეტილების მცნობ სასამართლოს სარკისებურად გადააქვს თავისი ქვეყნის წესები გადაწყვეტილების მიღების კომპეტენციის შესახებ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებაზე.¹⁴

ლეგიტიმაციის მინიჭების საკითხის გადაწყვეტისას, გასათვალისწინებელია „დე ფაქტო“ ტერიტორიების პრობლემა, ვინაიდან საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიების

¹² მუხლი 8,9,18,68, საქართველოს კანონი საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ, 29/04/1998, საქართველოს პარლამენტი.

¹³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე №ა-2761-შ-69-2016, 7 ივლისი, 2017 წელი.

¹⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე №ა-1522-შ-44-2022 28 ნოემბერი, 2022 წელი.

გარკვეული ნაწილი ოკუპირებულია, რის გამოც ამ ტერიტორიის ფარგლებში საქართველო მოკლებულია ეფექტური კონტროლის მექანიზმს.¹⁵

3. უცხოური გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების ზოგადი საერთაშორისო მიმოხილვა

მე-19 საუკუნიდან სხვადასხვა ქვეყანამ დაიწყო ორმხრივი ხელშეკრულებების ხელმოწერა, რომლებიც ეხებოდა მათ შორის გადაწყვეტილებების ცნობასა და აღსრულებას. ეს ხელშეკრულებები ხშირად სპეციფიკური იყო ჩართული ქვეყნებისთვის და გულისხმობდა ერთმანეთის სასამართლო გადაწყვეტილებების აღიარების საპასუხო ღონისძიებებს. აღნიშნულთან მიმართებით უნდა აღინიშნოს რომ ევროკავშირის დირექტივები სავალდებულოა შესასრულებლად წევრი სახელმწიფოებისთვის, რომელთაც აკისრიათ დირექტივებით შემოღებული კონკრეტული რეგულაციების ეროვნულ კანონმდებლობაში იმპლემენტაციის ვალდებულება.¹⁶

1963 წლის ბრიუსელის კონვენცია ეხებოდა სამოქალაქო და სამეწარმეო სამართლის საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებების იურისდიქციასა და აღსრულებას. კონვენცია უთითებდა იმის შესახებ, თუ რომელი ქვეყნის სასამართლოებს ჰქონდათ იურისდიქცია ტრანსსასაზღვრო დავებში. მან ჩამოაყალიბა სამართლებრივი ჩარჩო თუ რომელი ქვეყნის სასამართლოებს უნდა განეხილათ საქმე ისეთი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორიცაა პირის საცხოვრებელი ადგილი, საქმიანობის ადგილი და სხვ. კონვენცია უპირველეს ყოვლისა ეხებოდა სამოქალაქო და კომერციულ საკითხებს, გამორიცხავდა გარკვეულ სპეციფიკურ სფეროებს, როგორიცაა მაგალითად, საოჯახო სამართლის გარკვეული საკითხები. კონვენცია ითვალისწინებდა გამონაკლისებს, რაც წევრ სახელმწიფოებს აძლევდა საშუალებას უარი ეთქვათ ცნობაზე ან აღსრულებაზე ისეთ საქმეებში, რომელიც ეხებოდა საჯარო წესრიგს, პროცედურულ დარღვევებს და სხვ. კონვენციის მიზანი იყო სამართლებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ევროკავშირის ფარგლებში ტრანსსასაზღვრო ვაჭრობისა და თანამშრომლობის ხელშეწყობა. ბრიუსელის კონვენცია კიდევ უფრო დაიხვეწა და განვითარდა 1968 წლის კონვენციით, რომელმაც გადამწყვეტი როლი ითამაშა ევროკავშირის ფარგლებში იურისდიქციის, გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების სამართლებრივი ფარგლების ჩამოყალიბებაში.¹⁷

ხსენებულთან ერთად მოქმედებს 1988 წლის ლუგანოს კონვენცია, რომელიც გარდა ევროკავშირის წევრი ქვეყნებისა, მოქმედებს ევროპის თავისუფალი სავაჭრო ასოციაციის წევრ

¹⁵ ახალაძე მ., უცხო სახელმწიფოთა სასამართლო გადაწყვეტილებათა ცნობა-აღსრულება საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში, საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2021, ISBN 978-9941-8-2368-8, 6.

¹⁶ ლაკერბაია თ., სადისერტაციო ნაშრომი - ხელშეკრულების უარყოფის უფლება ქართულ და ევროპულ სახელმწიფოებო სამართლის შედარებითი ანალიზი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2016, 34;

¹⁷ Robert C. Reuland, The Recognition of Judgments in the European Community: The Recognition of Judgments in the European Community: The Twenty-Fifth Anniversary of the Brussels Convention Twenty-Fifth Anniversary of the Brussels, Michigan Journal of International Law Michigan Journal of International, 1993, 560-572.

ქვეყნებზე. კონვენცია თავისი არსით ბრიუსელის კონვენციის მსგავსია. გარდა საოჯახო სამართალთან, გაკოტრებასა და არბიტრაჟთან დაკავშირებული საკითხებისა, ის მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა კონტრაქტები, დელიქტები და სხვ. ლუგანოს კონვენციას თავდაპირველად ხელი მოეწერა 1988 წელს და მისი შექმნის მიზანი უკავშირდება ბრიუსელის კონვენციის პრინციპების გავრცელებას ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის (EFTA) ქვეყნებზე.¹⁸ კონვენცია მოგვიანებით გადაიხედა და განახლდა. მისი მიზანი სახელმწიფოებს შორის ჰარმონიზებული საკანონმდებლო ბაზის შექმნა, სამართლებრივი უსაფრთხოების გაძლიერება და ტრანსსასაზღვრო ვაჭრობისა და თანამშრომლობის ხელშეწყობა იყო. მისი უახლესი ვერსიაა 2007 წლის ლუგანოს კონვენცია, რომელიც ძალაში შევიდა 2010 წელს.¹⁹ 1997 წელს ევროკავშირის საბჭომ დაიწყო ბრიუსელის კონვენციისა და 1988 წლის ლუგანოს კონვენციის ერთდროული გადასინჯვა ე.წ. ad hoc ჯგუფთან ერთად²⁰, ორი კონვენციის სრული ჰარმონიზაციისა და ცვლილებების შეტანის მიზნით, რომლის მიზანიც იმ პრობლემების გადაჭრა იყო, რომლებიც წარმოიშვა კონვენციის ინტერპრეტაციის პროცესში. ითვლებოდა, რომ ამ ორი კონვენციის გადახედვა ერთად უნდა მომხდარიყო, რათა შესაბამისობაში ყოფილიყვნენ ტრანსსასაზღვრო ურთიერთობებში. ამასთან ხაზი გაესვა გადაწყვეტილებების აღსრულების დაჩქარების საჭიროებას, რომელიც მოგვიანებით ხაზგასმულია 1997 წლის 2 ოქტომბრის ამსტერდამის ხელშეკრულების 65-ე მუხლში²¹, რომელიც ჯერ არ იყო ძალაში, როდესაც აღნიშნულ საკითხთან მიმართებით მუშაობა დაიწყო. ლუგანოს კონვენციის 2007 საბოლოო ვერსია, ძველი რედაქციისგან განსხვავდება იმით, რომ 1988 წლის ლუგანოს კონვენცია ეხებოდა ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის (EFTA) ქვეყნებს - შვეიცარიას, ნორვეგიას, ისლანდიასა და დანიას. ხოლო 2007 წლის ლუგანოს კონვენციამ გააფართოვა მისი ფარგლები ევროკავშირის წევრი ქვეყნებისა და EFTA-ს ქვეყნების ჩათვლით. ასევე მან გააფართოვა მისი ფარგლები და უზრუნველყო ყოვლისმომცველი მოქმედების სფერო, მათ შორის დაუახლოვდა ევროკავშირის მიერ დადგენილ სამართლებრივ პრინციპებს და ხელი შეუწყო მეტ სამართლებრივ მოქნილობასა და მიდგომას ტრანსსასაზღვრო სამართლებრივი საკითხების მიმართ.²²

ევროკავშირის სამართალი თანდათანობით ახდენს საერთაშორისო სამოქალაქო საპროცესო სამართლის წესების უნიფიკაციას. მას აქვს ისეთი დირექტივები მიღებული, როგორიცაა: სამოქალაქო და სამეწარმეო სამართლის გადაწყვეტილებების იურისდიქციასთან, ცნობასა და

¹⁸ Council Regulation (EC) No 44/2001 of 22 December 2000 on jurisdiction and the recognition and enforcement of judgments in civil and commercial matters, ხელმისაწვდომია აქ: <https://shorturl.at/evwxT> (უკანასკნელად გადამოწმდა 2024 წლის 04 თებერვალს).

¹⁹ Csongor István Nagy, Cross-Border Litigation in Central Europe: EU Private International Law Before National Courts, Kluwer Law International, 2022, 10-20.

²⁰ Opinion 1/03 Opinion pursuant to Article 300(6) EC - ხელმისაწვდომია აქ: <https://shorturl.at/bcyBD> (უკანასკნელად გადამოწმდა 2024 წლის 04 თებერვალს).

²¹ Treaty of Amsterdam amending the Treaty on European Union, the Treaties establishing the European Communities and certain related acts, 2 October 1997, ხელმისაწვდომია აქ: <https://shorturl.at/jEJR1> (უკანასკნელად გადამოწმდა 2024 წლის 04 თებერვალს).

²² Enforcement of foreign judgments, ხელმისაწვდომია აქ: <https://shorturl.at/iwK05> (უკანასკნელად გადამოწმდა 2024 წლის 04 თებერვალს).

აღსრულებასთან, ქორწინებასთან, მტკიცებულებების შეგროვებასთან, დოკუმენტბრუნვასა და საერთაშორისო გადახდისუუნარობასთან დაკავშირებით.²³ თითოეული მათგანის მოქმედება მიმართულია ცნობისა და აღსრულების პროცესის გამარტივებაზე და კონკრეტული ღონისძიებების მისადაგებაზე საქმის ბუნებიდან გამომდინარე. ვინაიდან, საოჯახო, კომერციულ და სხვა სახის საერთაშორისო დავებზე მიდგომები და მოთხოვნები შეიძლება განსხვავდებოდეს, რომლისთვისაც იმ ძირითადი პრინციპების გათვალისწინება არსებითად მნიშვნელოვანია, რომელიც მითითებულია სწორედ ამ რეგულაციებში.

4. უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება სხვადასხვა ქვეყნის სამართლის სისტემაში

ქვეყნებს შეიძლება ჰქონდეთ ხელშეკრულებები, ორმხრივი ან მრავალმხრივი შეთანხმებები, რომლებიც არეგულირებენ უცხოური გადაწყვეტილებების ცნობასა და აღსრულებას, მოქნილი სამართლებრივი მექანიზმების გამოყენება კი თავის მხრივ, უფრო ამარტივებს ამ პროცესს. მიუხედავად ამისა, ამ მიმართულებით არსებული გამოწვევები მრავალფეროვანია, რაც შეიძლება განპირობებული იყოს სამართლებრივ სისტემებში განსხვავებულობით, კულტურული უთანასწორობის ან თუნდაც ქვეყნებს შორის პოლიტიკური დამაბულობის გამო. განსხვავებული მიდგომა განსაკუთრებით იგრძნობა მაშინ თუკი საქმე ეხება საოჯახო სამართლის დავებს, რომელზეც შეიძლება დაწესებული იყოს სპეციალური პროცედურები ვინაიდან, თითოეული ქვეყნის სამართლებრივ სისტემას აქვს თავისი სპეციფიკურობა და სირთულე, რაც გავლენას ახდენს უცხოური გადაწყვეტილებების ცნობასა და აღსრულებაზე.

ამერიკის შემთხვევაში, უცხოური ქვეყნის ან აშშ-ის სხვა შტატის ყოველი გადაწყვეტილება განიხილება, როგორც „უცხო გადაწყვეტილებად“, რომელიც არ შეიძლება აღსრულდეს წინასწარი სასამართლო მოქმედების გარეშე, რომელიც „აღიარებს“ ამ გადაწყვეტილებას, როგორც შიდასახელმწიფოებრივ გადაწყვეტილებას. ამასთან, სრული რწმენის და ნდობის საფუძველზე, აშშ-ის ნებისმიერ შტატში ან ფედერალურ სასამართლოში გამოტანილ გადაწყვეტილებას ენიჭება იგივე აღიარება და სამართლებრივი შედეგი აშშ-ს ნებისმიერ სხვა სასამართლოში.²⁴ ეს მიდგომა არ ვრცელდება უცხო ქვეყნების სასამართლოებში გამოტანილ გადაწყვეტილებებზე. აღნიშნულთან მიმართებით უნდა ითქვას, რომ ერთა თანამეგობრობის პრინციპმა გამოავლინა აღიარების მომხრე დამოკიდებულება აშშ-ს სასამართლოებში, ორმხრივი ან მრავალმხრივი ხელშეკრულებების არარსებობის შემთხვევაშიც კი.²⁵ კოლუმბიის ოლქმა, ჩრდილოეთ მარიანას კუნძულებმა და აშშ-ს ვირჯინიის კუნძულებმა მიიღეს უცხოური გადაწყვეტილების ერთიანი აღსრულების აქტი (UEFJA), 13 U.L.A. 261 (1986),

²³ კაჟაშვილი გ., სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში, სამართლის ჟურნალი N1, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2018, 296-300.

²⁴ Article IV, Constitution of the United States, ხელმისაწვდომია აქ: <https://shorturl.at/kmz67> (უკანასკნელად გადამოწმდა 2024 წლის 04 თებერვალს).

²⁵ Dannis campbell, Enforcement of foreing judgements, 1997, 128.

რომელიც მოითხოვს, რომ შესრულდეს სხვა სახელმწიფოებისა და ტერიტორიების გადაწყვეტილებები. იგი ფაქტობრივად ადგენს გამარტივებულ პროცედურას ერთ სახელმწიფოში მიღებული გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულებისთვის სხვა სახელმწიფოს სასამართლოებში. UEFJA უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების დროს ხელს უწყობს ამ პროცესის ეფექტურობასა და თანმიმდევრულობას. აშშ-ს შტატები, რომლებსაც არ მიუღიათ უცხოური გადაწყვეტილებების ერთიანი აღსრულების აქტი, არის კალიფორნია და ვერმონტი.

საფრანგეთში უცხოური გადაწყვეტილებების აღიარება და აღსრულება რეგულირდება როგორც საერთაშორისო კონვენციებით, ასევე შიდა რეგულაციებით. საფრანგეთმა მოახდინა რამდენიმე საერთაშორისო შეთანხმების რატიფიცირება, რომელიც ხელს უწყობს უცხოური გადაწყვეტილებების ცნობასა და აღსრულებას. ბრიუსელის I რეგულაცია არის ერთ-ერთი ასეთი მნიშვნელოვანი კონვენცია²⁶, რომელიც არეგულირებს გადაწყვეტილებების ცნობასა და აღსრულებას სამოქალაქო და კომერციულ საკითხებში. საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი (Code de Procédure Civile) ეხება უცხოური გადაწყვეტილებების აღიარებასა და აღსრულებას. ეს კოდექსი ასახავს პროცედურებს, პირობებს და კრიტერიუმებს, რომლებიც აუცილებელია უცხოური სასამართლოებიდან მიღებული გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულებისთვის. კერძოდ, კოდექსის 509-ე მუხლში ნათქვამია, რომ უცხოური გადაწყვეტილება შეიძლება აღიარდეს და აღსრულდეს საფრანგეთში, თუ ის აკმაყოფილებს გარკვეულ პირობებს, მათ შორის საერთაშორისო კონვენციებთან შესაბამისობას, წარმოშობის ქვეყანასთან ურთიერთობასა და საფრანგეთის საჯარო წესრიგთან შესაბამისობას. აღსრულების მოთხოვნა შესაძლებელია მხოლოდ სასამართლოს აღსრულების დეკლარაციის (ეკვევატურის) საფუძველზე, თუ მოქმედი საერთაშორისო დოკუმენტი არ ითვალისწინებს, რომ ეკვევატური არ არის აუცილებელი. აღნიშნული უნდა გამოსცეს სამოქალაქო სასამართლომ (Tribunal de Grande Instance) იმ ადგილის, სადაც იმყოფება პირი, რომლის მიმართაც აღსრულების მოთხოვნაა დაყენებული. ფრანგული სასამართლო პრაქტიკის ანალიზი იძლევა საშუალებას განზოგადდეს უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების კრიტერიუმები. პირველია განსახილველ საქმესა და უცხოელ მოსამართლეს შორის კავშირი, საფრანგეთის იურისდიქციის დარღვევის არარსებობა და თავსებადობა საფრანგეთის საჯარო წესრიგთან.²⁷

კანადის შემთხვევაში, იმისათვის, რომ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება მოხდეს უცხოური გადაწყვეტილებები უნდა აკმაყოფილებდეს სამ წინაპირობას. პირველი, უცხოური გადაწყვეტილებები აღსრულდება მხოლოდ კანადაში, თუ ისინი გამომდინარეობს საბოლოო გადაწყვეტილებიდან. საბოლოოში იგულისხმება

²⁶ Delphine Eskenazi, Admitted to the New York and Paris Bars, Partner, Libra Avocats, THE ENFORCEMENT OF FOREIGN JUDGMENTS IN FRANCE, 6, ხელმისაწვდომია აქ: <https://shorturl.at/fwzJP> (უკანასკნელად გადამოწმდა 2024 წლის 04 თებერვალს).

²⁷ Is there an exequatur procedure? CMS law-tax-future, ხელმისაწვდომია აქ: <https://shorturl.at/jHIV2> (უკანასკნელად გადამოწმდა 2024 წლის 04 თებერვალს).

ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც შეცვლას აღარ ექვემდებარება უცხოური სასამართლოს მიერ. სასამართლოს არ უნდა ჰქონდეს უფლებამოსილება შეცვალოს გადაწყვეტილება ან ხელახლა განიხილოს საკითხი. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ არ არსებობს უცხოური იურისდიქციაში დაყენებული მოთხოვნის შეჩერების ავტომატური უფლება და არც ის ფაქტი, რომ საქმის გასაჩივრება რაიმე გავლენას ახდენს მის საბოლოო შედეგზე და შესაბამისად აღსრულებაზე. ფაქტორები, რომლებსაც სასამართლოები განიხილავენ ამ ვითარებაში ეხება იმას მოთხოვნა დროულად არის თუ არა დაყენებული და დაზარალებული თუ არა რომელიმე მხარე შეჩერების შედეგად. მეორე, უცხოური გადაწყვეტილება უნდა იყოს ქონებრივი ან არაქონებრივი სახის და ბოლოს, მესამე, უცხოურ სასამართლოს, რომელმაც გადაწყვეტილება გამოიტანა, უნდა ჰქონდეს კომპეტენცია დავის საგანზე. უცხოური სასამართლოს იურისდიქცია ფასდება არა საკუთარი წესებით, არამედ კანადის აღიარებისა და აღსრულების სპეციფიკური ტესტებით.²⁸

გერმანია როგორც ევროკავშირის ნაწილი, არის 2005 წლის 30 ივნისის ჰააგის სასამართლოს საარჩევნო კონვენციის მხარე²⁹, რომელიც ადგენს გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების რეჟიმს იმ საქმეებზე, რომლებიც რეგულირდება სასამართლოს არჩევის შესახებ შეთანხმებების, ხელშეკრულები სახელმწიფოსთან. კონვენცია განსაზღვრავს, რომ გამოიყენება იმ სახელმწიფოს ცნობისა და აღსრულების წესები, სადაც ითხოვენ აღნიშნულს. თუმცა, აღიარებაზე და აღსრულებაზე უარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ კონვენციაში კონკრეტულად ჩამოთვლილ საფუძვლებს. კონვენცია ვრცელდება დანიაზე, მექსიკაზე, მონტენეგროზე, სინგაპურზე და - ევროკავშირიდან მისი გასვლის შემდეგ - გაერთიანებულ სამეფოზე. იმ შემთხვევაში, თუ არც ევროკავშირის კანონები და არც საერთაშორისო ხელშეკრულებები არ გამოიყენება (ან თუ ისინი ტოვებენ ადგილს შიდა კანონმდებლობის გამოყენებისთვის), გერმანიის სასამართლოები იყენებენ გერმანიის შიდა კანონმდებლობას უცხოური გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულებისთვის. უცხოური გადაწყვეტილებების ცნობა რეგულირდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (ZPO) 328-ე მუხლით. აღსრულება რეგულირდება ZPO-ს 722-ე და 723-ე მუხლებით.³⁰ ცნობისა და სააღსრულებო წარმოების დაწყების სპეციალური ხანდაზმულობის ვადა არ არსებობს. ზოგიერთი ვარაუდობს, რომ გერმანიის სასამართლოებმა უნდა გამოიყენონ კანონით დადგენილი 30-წლიანი ხანდაზმულობის ვადა, რომელიც ვრცელდება გერმანიის სასამართლოების მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებზე თუმცა, ამ საკითხზე სასამართლო პრაქტიკა არ არის მდიდარი.³¹ გერმანიის და ზოგადად ევროკავშირის კანონმდებლობა ითვალისწინებს revision au fond-ის ზოგად აკრძალვას (ანუ, სასამართლო არ განიხილავს უცხოურ გადაწყვეტილების

²⁸ Craig Lockwood, Adam Hirsh, Enforcing Foreign Judgments in Canada, Osler, April 2023, ხელმისაწვდომია აქ: <https://shorturl.at/ikmNZ> (უკანასკნელად გადამოწმდა 2024 წლის 04 თებერვალს).

²⁹ Convention of 30 June 2005 on Choice of Court Agreements, HCCH, ხელმისაწვდომია აქ: <https://shorturl.at/tuAQW> (უკანასკნელად გადამოწმდა 2024 წლის 04 თებერვალს).

³⁰ Article 328, 722, 723, Zivilprozessordnung, Bundesministerium der Justiz, ხელმისაწვდომია აქ: <https://shorturl.at/mwyS6> (უკანასკნელად გადამოწმდა 2024 წლის 04 თებერვალს).

³¹ Germany: Enforcement of Judgments in Civil and Commercial Matters, Legal 500, ხელმისაწვდომია აქ: <https://t.ly/08Znp> (უკანასკნელად გადამოწმდა 2024 წლის 04 თებერვალს).

მატერიალურ სისწორეს). Révision au fond-ის აკრძალვა მოიცავს დაცვას ფაქტების დადგენის პროცესთან და კანონის გამოყენებასთან მიმართებით. მაგალითად, ინგლისში არსებობს action upon judgement პრინციპი, რომელიც გულისხმობს უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობასა და აღსასრულებლად გამოცხადებას სარჩელის საფუძველზე. გამოდის, რომ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილება მოვალის „სამართლებრივ ვალდებულებად“ („legal obligation“) აღქმული, აღნიშნული კი პირობითაც, კრედიტორის მიერ აღსრულებული უნდა იყოს „დავალიანების გადახდის სარჩელით“ („action of debt“). ცხადია ამ პრინციპის მოქმედება არ გულისხმობს ზემოთ განხილული Révision au fond-ის პრინციპთან წინააღმდეგობას, ვინაიდან ამ დროს არ ხდება უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების სამართლებრივი და შინაარსობრივი გადამოწმება.³² ამასთან უნდა ითქვას, რომ გერმანიის სასამართლო განიხილავს უცხოური გადაწყვეტილების შედეგს, რათა დაადგინოს, არღვევს თუ არა იგი გერმანიის საჯარო წესრიგს. თუ უცხოური გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ ფაქტები და გარემოებები გამოიკვეთა, შეიძლება ეს ახალი ფაქტები წარედგინოს გერმანიის სასამართლოს, რათა დადგინდეს, რომ გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება არღვევს გერმანიის საჯარო წესრიგს. თუ (არაევროკავშირის) უცხოური გადაწყვეტილება აღსრულებდა შიდა კანონმდებლობით, კერძოდ, აღიარებისა და აღსრულების აღსრულების აქტით (AVAG) (რომელიც ძირითადად არის ex parte პროცესი)³³, აღსრულება ძირითადად შემოიფარგლება დამცავი ზომებით მოვალის ვადის დასრულებამდე. მოთხოვნის საფუძველზე სასამართლოებს შეუძლიათ გააგრძელონ აღსრულების ეს შეზღუდვა შემდეგ გასაჩივრებამდე (ასეთის არსებობის შემთხვევაში).³⁴ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების დროს სასამართლო ხარჯები და მხარეთა ხარჯები (ადვოკატის საფასურის ჩათვლით) შეიძლება ანაზღაურდეს მოვალისგან. თუმცა, ადვოკატის საფასურის ანაზღაურება შემოიფარგლება კანონით დადგენილი საფასურით, რომელიც ანაზღაურდება ადვოკატთა ანაზღაურების შესახებ გერმანიის აქტის შესაბამისად. ამ მიზნით, საყურადღებოა, რომ ამ კანონით დადგენილი საფასური განისაზღვრება სადავო თანხით და იგი შეიძლება იყოს მნიშვნელოვნად დაბალი ვიდრე რეალურად გაწეული საადვოკატო მომსახურება.³⁵

ზოგადად, მას შემდეგ რაც სასამართლო კონკრეტული პირის მიმართ მიიღებს მის სასარგებლოდ გადაწყვეტილებას, ეს გადაწყვეტილება ავტომატურად აღიარებულია ევროკავშირის ყველა ქვეყანაში. ხოლო გადაწყვეტილების ცნობასა და აღიარებაზე უარის თქმა შეიძლება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში.

³² STEPHEN MOI and others, ENGLISH HIGH COURT ENFORCES FOREIGN JUDGMENT THAT IS UNENFORCEABLE IN THE JURISDICTION OF ORIGIN, Mayer/Brown, 20 DECEMBER 2023, ხელმისაწვდომია აქ: <https://t.ly/1fNtN>, (უკანასკნელად გადამოწმდა 2024 წლის 04 თებერვალს).

³³ Execution judiciaire en Europe, E-note 1 – The prerequisites for execution, The basic general requirements for enforcement, ხელმისაწვდომია: <https://www.europe-eje.eu/en> (უკანასკნელად გადამოწმდა 2024 წლის 04 თებერვალს).

³⁴ Oliver Browne and others, Enforcement of foreign judgements 2022, Latham&Watkins LLP, Foreign Judgements 2022, Lexology, 39-46, ხელმისაწვდომია აქ: <http://tinyurl.com/wrcsjmj7> (უკანასკნელად გადამოწმდა 2024 წლის 04 თებერვალს).

³⁵ Act on the Remuneration of Lawyers (Rechtsanwaltsvergütungsgesetz – RVG) ხელმისაწვდომია აქ: <http://tinyurl.com/3eede6cu> (უკანასკნელად გადამოწმდა 2024 წლის 04 თებერვალს).

5. სასამართლო პრაქტიკის ანალიზი

საქართველოს უზენაეს სასამართლოს, 2022 წლის 21 ნოემბერს, განცხადებით მიმართა ბავშვების მამის წარმომადგენელმა და განმარტა, რომ 2022 წლის 28 ოქტომბერს, თბილისში, მოპასუხემ სკოლიდან გაიტაცა ბავშვები და მათზე ზეწოლის შედეგად მიღებული ჩვენებებით ბავშვების მამას წინასწარი პატიმრობა შეეფარდა. არც პროკურატურის და არც შს ორგანოები არ ასრულებდნენ უზენაესი სასამართლოს განჩინებას და ბავშვები მოძალადე დედასთან ერთად იყვნენ. დედის მოძალადეობა დადასტურებული იყო არაერთი გადაწყვეტილებით და, ასევე, საჯაროდ გავრცელებული კადრებით, რომლებიც დედის აგრესიულ ხასიათს ადასტურებს. განმცხადებლის განმარტებით, გარდა შს სამინისტროს და პროკურატურისა, სსიპ სახელმწიფო ზრუნვის, ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვის, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს არაერთხელ მიმართეს ბავშვების დაცვის მიზნით მათი მოძალადე დედისგან განცალკევების მიზნით. განმცხადებლის წარმომადგენელი მოითხოვდა უზენაეს სასამართლოს გაეცა სააღსრულებო ფურცელი, რომლითაც მეურვეობის ორგანო და სხვა პირები აღასრულებდნენ სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომლითაც ბავშვების დედას მშობლის უფლებები შეზღუდული ჰქონდა. ამასთან, განმცხადებლის წარმომადგენელი მოითხოვდა განმარტებას, თუ რას მოიაზრებდა სასამართლო მშობლის უფლებების შეზღუდვაში. ბავშვების მამის წარმომადგენელმა განმარტა, რომ სსიპ სახელმწიფო ზრუნვის, ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვის, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო მოითხოვდა სააღსრულებო ფურცელსა და მშობლის უფლების შეზღუდვის ფარგლების განმარტებას. განმცხადებლის განმარტებით, სააგენტოს პოზიცია, ასევე, გასაკვირი იყო იმასთან დაკავშირებით, რომ ასაიდუმლოებდნენ გატაცებული ბავშვების ადგილსამყოფელს მიუხედავად იმისა, რომ დედას, რომელთანაც იმყოფებოდნენ ბავშვები, რუსეთის ფედერაციის საოჯახო კოდექსის 74-ე მუხლის შესაბამისად, შეზღუდული ჰქონდა მშობლის უფლებები, და შესაბამისად, ბავშვებთან ურთიერთობის უფლება არ უნდა ჰქონოდა.

საქმე მნიშვნელოვანია იმ კუთხით, რომ იგი ეხება არასრულწლოვნებს და მათ საუკეთესო ინტერესებს, ასევე ჩვენს მიერ განხილულ revision au fond-ის პრინციპს ეხება და მოცემულია შესაბამისი განმარტებები. უფრო კონკრეტულად, აღნიშნულ საქმეზე საკასაციო სასამართლოს მიერ აღიარებულ იქნა უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილება, იმ ნაწილში, რომლითაც ბავშვების დედას მშობლის უფლებები შეეზღუდა. თუმცა გადაწყვეტილებაშივეა განმარტებული რომ სასამართლოს მიერ საქართველოს ტერიტორიაზე საცნობი უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ცნობა არ ნიშნავს საქმის არსებითი გარემოებების განხილვას, ფაქტების დადგენას და ხელმეორედ კვლევას. ვინაიდან, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების განმარტება და დამატებითი გადაწყვეტილების მიღება, წინააღმდეგობაში მოდის revision au fond-ის აკრძალვის სახელით ცნობილ პრინციპთან. აღნიშნული პრინციპი როგორც ზემოთ უკვე განვიხილეთ კრძალავს უცხო

ქვეყნის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების შინაარსობრივ გადამოწმებას. აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო, ზემოთ მოხმობილი სამართლებრივი ნორმებისა და იმ არგუმენტაციის გათვალისწინებით, რასაც ბავშვების მამის წარმომადგენელი აცხადებდა, მიიჩნია რომ სახეზე არ იყო სააღსრულებო ფურცლის გაცემის, კანონით დადგენილი, წინაპირობები. საკასაციო განჩინების სარეზოლუციო ნაწილი არ შეიცავდა იმგვარ დასკვნას, რომლის აღსრულებაც შესაძლებელი იყო. ამ განჩინებით საქართველოს ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების იმ ნაწილის, ცნობა/აღიარება მოხდა, რასაც ბავშვების მამა მოითხოვდა. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 6 ივლისის განჩინების სარეზოლუციო ნაწილი არ შეიცავდა აღსრულებად დებულებას, შესაბამისად, განცხადება სააღსრულებო ფურცლის გაცემის თაობაზე უარყო.³⁶

კიდევ ერთ საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავტრების საქმეთა პალატამ საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ე. ბ-ის შუამდგომლობა გერმანიის, ქ. ჰ-ს პირველი ინსტანციის სასამართლოს 2002წ. 30 იანვრის განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ მოქალაქე მ. ო-ის მიმართ განქორწინების თაობაზე. 2003 წ. 29 სექტემბრის საქმის მასალებიდან დგინდება, რომ ე. ბ-ე და მ. ო-ი რეგისტრირებულ ქორწინებაში გატარდნენ საქართველოში, 1996წ. 22 აგვისტოს. 1999წ. 6 სექტემბერს მათ შეეძინათ შვილი – ე. 2001წ. 15 იანვრიდან მხარეთა შორის ქორწინება ფაქტობრივად შეწყდა და ისინი ერთ წელზე მეტი ხანი ცხოვრობდნენ ცალ-ცალკე, რის შემდეგაც ე. ბ-ემ მიმართა გერმანიის, ქ. ჰ-ს პირველი ინსტანციის სასამართლოს და მოითხოვა განქორწინება, მ. ო-მა სარჩელს მხარი დაუჭირა. აღნიშნული სასამართლოს 2002წ. 30 იანვრის განაჩენით ქორწინება მხარეთა შორის შეწყდა, ხოლო მათ შვილზე მზრუნველობა, მხარეთა შეთანხმებით დაეკისრა ე. ბ-ეს. ზემოხსენებული განაჩენი კანონიერ ძალაში შევიდა 2002წ. 20 მარტიდან. ე. ბ-ემ შუამდგომლობებით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს გერმანიის, ქ. ჰ-ს პირველი ინსტანციის სასამართლოს 2002წ. 30 იანვრის განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ. პალატამ დააკმაყოფილა მხარის მიერ დაყენებული შუამდგომლობა და იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-69-ე მუხლებით, სსკ-ს 284-ე მუხლით, „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ“ 1993წ. მინსკის კონვენციით. წინამდებარე საქმე იმითაა საინტერესო, რომ საოჯახო სამართლებრივი დავების კატეგორიას მიეკუთვნება და მოიცავს მხოლოდ ცნობას და არა აღსრულებას. აქედან გამომდინარე, ზოგიერთი სახის აქტს თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე არ სჭირდება აღსრულება. გამოდის, რომ სასამართლოს მიერ მოხდა იურიდიული ფაქტის დადასტურდება, რომ მითითებულ პირებს შორის ქორწინება შეწყვეტილია და აღარ არსებობს. თუმცა საქმეში მეტად საინტერესო ისაა, რომ საკასაციო სასამართლომ სხვა დანარჩენთან ერთად, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნე,

³⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე საქმე №ა-1522-შ-44-2022 28 ნოემბერი, 2022.

იხელმძღვანელა მინსკის კონვენციით, გერმანია კი ამ კონვენციის წევრი არ არის და შესაბამისად, აღნიშნულის მითითება ბევრ კითხვას ბადებს.³⁷

დასკვნა

უცხოური სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება წარმოადგენს საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობის ქვაკუთხედს, სამართლებრივი უსაფრთხოების ხელშეწყობასა და საზღვრებს მიღმა სამართლიანობის დაცვაში. აღნიშნული წარმოადგენს გლობალურად ურთიერთდაკავშირებულ გარიგებებს, რომლებიც მუდმივად განიცდის ტრანსსაზღვრო გავლენას, რაც შეიძლება განპირობებული იყოს სხვადასხვა ფაქტორით. გარკვეულწილად, უცხოური გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება გარკვეულ ნდობას წარმოშობს სახელმწიფოებს შორის საერთაშორისო თანამშრომლობისას. გარდა ამისა, ბუნებრივია, ის უზრუნველყოფს ფიზიკური პირების გარანტიას, რომ მათი უფლებები და მოვალებები დაცულ იქნება შიდა საზღვრების მიღმა. გარდა ზემოთ ხსენებულისა, ეს პროცესი გადამწყვეტ როლს ასრულებს ეკონომიკური ზრდისა და ტრანსსაზღვრო ინვესტიციების წახალისებაში ვინაიდან, მხარეებს საშუალება აქვთ ჩაერთონ გლობალურ ვაჭრობაში იმ მოლოდინით, რომ სახელშეკრულებო ვალდებულებები შესრულდება, რაც ხელს უწყობს სახელმწიფოთა ეკონომიკურ განვითარებას. ფაქტობრივად, უცხოური სასამართლოების გადაწყვეტილებათა ცნობა და აღიარება ადასტურებს ერების საერთო ვალდებულებას კანონის უზენაესობის დაცვისა და მრავალფეროვან სამართლებრივი სისტემების ურთიერთპატივისცემაზე. თანადროულად, ვინაიდან სამართლის სფეროს განვითარების ტემპი დინამიურობით ხასიათდება უცხოური გადაწყვეტილების ცნობისა და აღიარების სამართლებრივი მექანიზმებიც მუდმივად საჭიროებენ დახვეწას, რომელიც საბოლოო ჯამში ქმნის გლობალურად სამართლიანობის ხელშეწყობ ლანდშაფტს. ამ საკითხის მნიშვნელობასთან ერთად გასათვალისწინებელია და არსებითი მნიშვნელობის მქონე სახელმწიფოთა სუვერენიტეტი, რომელიც განასახიერებს ერის დამოუკიდებელ ავტორიტეტს და ავტონომიას მის ტერიტორიულ საზღვრებში. ცხადია, აღნიშნულს გარკვეული სირთულეები შემოაქვს გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების პროცესში, რაც განპირობებულია სამართლებრივი სისტემების, კულტურული ნორმების და საჯარო წესრიგის განსხვავებული ინტერპრეტაციებით. სახელმწიფოებს უფლება აქვს გამოიყენონ თავიანთი სუვერენული უფლება უარი თქვან უცხოური ქვეყნის გადაწყვეტილების აღსრულებაზე თუ იგი ეწინააღმდეგება მათ საჯარო წესრიგს. საერთაშორისო ხელშეკრულებები და კონვენციები კი სწორედ ცდილობენ ამ გამოწვევების შერბილებას ორმხრივი აღიარებისა და აღსრულების ჩარჩოების შექმნით. შესაბამისად, შეთანხმებები ემსახურება სახელმწიფოთა შორის ჰარმონიზაციისა და თანამშრომლობის ხელშეწყობას მათი სუვერენიტეტის პატივისცემით. გარდა ამისა, დიპლომატიური ურთიერთობებისა და ორმხრივი ან მრავალმხრივი შეთანხმებების როლი შემდგომ გავლენას ახდენს

³⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე №-1226-შ-71-03 29 სექტემბერი, 2003.

სუვერენიტეტის პრაქტიკულ გამოყენებაზე ცნობისა და აღსრულების წარმოებაში. არსებითად, სახელმწიფო სუვერენიტეტი მოქმედებს, როგორც გადამწყვეტი ფაქტორი, რომელიც აყალიბებს უცხოური გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების სისტემას. იგი წარმოადგენს როგორც უფლებამოსილებას, ასევე დისკრეციას ერების უფლებამოსილებას საერთაშორისო სამართლის სირთულეებთან მიმართებით, რომელთა ავტონომიასაც აბალანსებს გლობალურ სამართლებრივ ჩარჩოში სახელმწიფოთა თანამშრომლობა.

მნიშვნელოვანმა განსხვავებებმა სამართლებრივ პრინციპებში, განსაკუთრებით კი სამოქალაქო სამართლისა და საერთო სამართლის სისტემებში, შეიძლება შექმნას ბარიერები უცხოური გადაწყვეტილებების აღსრულებაში. მაშინაც კი, როდესაც უცხოური გადაწყვეტილების აღიარება ხდება, მისი აღსრულების პროცესი შეიძლება გართულდეს და დაექვემდებაროს ადგილობრივ კანონებსა და პროცედურებს.

